ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის, გამოფენების, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ” ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის საფუძველზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. დამტკიცდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის, გამოფენების, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირების წესი დანართის შესაბამისად

(დანართი დადგენილებას თან ერთვის)

მუხლი 2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის რეგულირების წესისა და გარე ვაჭრობის უფლების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის №71 დადგენილება (www.matsne.gov.ge, 06.02.2015, 010250020.35.123.016281).

მუხლი 3. ცნობად იქნეს მიღებული, რომ გარე ვაჭრობასთან დაკავშირებით გაწეული ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წინამდებარე დადგენილებით დამტკიცებული წესის მოთხოვნებს, ითვლება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 153^3 მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევად. ასეთის არსებობის შემთხვევაში, სამართალდამრღვევების მიერ, ამ დადგენილების ძალაში შესვლიდან 30 სამუშაო დღის ვადაში, უნდა გატარდეს ღონისძიებები გარე ვაჭრობასთან დაკავშირებული საქმიანობის, წინამდებარე დადგენილებით დამტკიცებულ წესთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

მუხლი 3. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

გიორგი ჭიღვარია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი